საქართველოს მაღალი მიღწევების
საერთაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF
HIGH PERFORMANCE OF GEORGIA

2026

# პროგრამების კატალოგი

თბილისი

# შინაარსი


| | |
|---|---|
| აკადემიის შესახებ | 03 |
| მისია, ხედვა, ღირებულება | 04 |
| სასწავლო პროგრამები | 05 |
| "სპორტის ინსტრუქტორობა" | 06 |
| "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" | 11 |
| "FRONT-END დეველოპმენტი" | 15 |

საქართველოს მაღალი მიღწევების
საერთაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF
HIGH PERFORMANCE OF GEORGIA

# აკადემიის შესახებ

საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემია წარმოადგენს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეს, რომელიც ორიენტირებულია ხარისხიან და პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებაზე.

აკადემია ახორციელებს პროფესიული მომზადების მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით, თანამედროვე სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ჩვენი მიზანია მსმენელებს მივცეთ არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკული უნარები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ პროფესიულ განვითარებასა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდას.

- აკადემიაში სწავლების პროცესს უძღვებიან კვალიფიციური სპეციალისტები და პრაქტიკოსი პროფესიონალები.

- აკადემია მუდმივად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე, სწავლების მეთოდების განახლებასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე.

საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF HIGH PERFORMANCE OF GEORGIA

# მისია

შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის მისიაა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად საზოგადოებისთვის ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდებით კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და დასაქმება, ასევე პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პოპულარიზაცია.

# ხედვა

აკადემიის ხედვაა ჩამოყალიბდეს ერთიან, თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოდ, რომელიც ხელს შეუწყობს მსმენელთა პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურებას და შექმნის უსაფრთხო, ინკლუზიურ და თანასწორუფლებიან სასწავლო სივრცეს. აკადემია ორიენტირებულია პრაქტიკულ სწავლებაზე, ინოვაციურ მიდგომებზე და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, რაც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

# ღირებულება

- ხარისხი- უმაღლესი სტანდარტების დაცვა განათლებასა და სწავლების პროცესში;
- პასუხისმგებლობა - ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება მსმენელებისა და საზოგადოების წინაშე;
- ინოვაცია - თანამედროვე, პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების დანერგვა;
- ხელმისაწვდომობა - განათლების უზრუნველყოფა ყველასთვის, თანაბარი შესაძლებლობების შექმნით;
- ინკლუზია - თანასწორი და უსაფრთხო გარემო
- განვითარება - უწყვეტი პროფესიული და ინსტიტუციური სრულყოფა.

# სასწავლო პროგრამები

აკადემია ახორციელებს 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას

- სპორტის ინსტრუქტორობა
- მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
- FRONT-END დეველოპმენტი

საქართველოს მაღალი მიღწევების
საერთაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF
HIGH PERFORMANCE OF GEORGIA

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

# სპორტის ინსტრუქტორობა

საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF HIGH PERFORMANCE OF GEORGIA

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "სპორტის ინსტრუქტორობა" სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: აქვს სრული ზოგადი განათლება, არის არანაკლებ 18 წლის და წარმატებით გაივლის კონკურსის სპორტულ ტურს.

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სპორტის ინსტრუქტორობაში; HIGHER VOCATIONAL QUALIFICATION IN SPORTS INSTRUCTION.

## პროგრამის მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სპორტის ინსტრუქტორობა" მიზანია მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც ექნება სპორტული ინსტუქტორისთვის შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, მათ შორის სპორტის სახეობების ძირითადი პრინციპების, წესების, უსაფრთხოების პროცედურებისა და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ. პროგრამის მიზანია სპორტული წვრთნის სხვადასხვა მეთოდიკის გამოყენებით შეძლოს სპორტის შესაბამის სახეობაში სასწავლო-საწვრთნო ინსტრუქტაჟის წარმართვა, სტრატეგიული გეგმის (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) განხორციელება. სპორტსმენის წახალისების, მოტივაციის ამაღლებისა და მომზადების უზრუნველყოფა.

## სწავლის შედეგები

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე "სპორტის ინსტრუქტორობა" კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. განახორციელოს დაკისრებული სამუშაოს ორგანიზება;
2. განახორციელოს უსაფრთხო სავარჯიშო გარემოს შექმნა;
3. განახორციელოს თვითგანვითარება;
4. განახორციელოს საწვრთნო და საშეჯიბრო პროცესში ჩართულობა;
5. განახორციელოს საწვრთნო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის დაგეგმვა და წარმართვა;
6. განახორციელოს ოლიმპიური მოძრაობის პრინციპების გაცნობიერება და ისტორიული ასპექტების წარმოჩენა;

7. განახორციელოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
8. განახორციელოს სასწავლო და სპორტულ - გამაჯანსაღებელ პროცესში ტანვარჯიშის გამოყენება;
9. განახორციელოს საერთო ფიზიკური მომზადებისას მძლეოსნობის გამოყენება.
10. განახორციელოს სასწავლო და სპორტულ - გამაჯანსაღებელ პროცესში ცურვის გამოყენება;
11. განახორციელოს სასწავლო და სპორტულ - გამაჯანსაღებელ პროცესში ადამიანის ანატომიური აგებულების გათვალისწინება;
12. განახორციელოს სასწავლო და სპორტულ - გამაჯანსაღებელ პროცესში ადამიანის ფიზიოლოგიური ფუნქციების გამოყენება.
13. განახორციელოს სასწავლო და სპორტულ - გამაჯანსაღებელ პროცესში ადამიანის ფსიქოლოგიის ასპექტების გათვალისწინება
14. განახორციელოს სპორტის სახეობებში თეორიული და პრაქტიკული პროცესების დაგეგმვა და წარმართვა.

## ინფორმაცია კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

სპორტის ინსტრუქტორობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 97 კრედიტიანია. აქვს ზოგადი სავალდებულო 5 მოდული ჯამური 13 კრედიტის ოდენობით. პროფესიული სავალდებულო 14 მოდული ჯამური 84 კრედიტის ოდენობით. სპორტის ინსტრუქტორობაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 97 კრედიტი.

| N | ზოგადი მოდულები | კრედიტი |
|---|---|---|
| 1 | მეწარმეობა | 4 |
| 2 | უცხოური ენა | 3 |
| 3 | ინფორმაციული წიგნიერება | 2 |
| 4 | სამოქალაქო განათლება | 2 |
| 5 | პიროვნული და ინტერპერსონალური კომუნიკაციები | 2 |

| N | პროფესიული მოდულები | კრედიტი |
|---|---|---|
| 1 | სამუშაოს ორგანიზება | 5 |
| 2 | უსაფრთხო სავარჯიშო გარემო | 5 |
| 3 | პროფესიული თვითგანვითარება | 5 |
| 4 | საწვრთნო და საშეჯიბრო პროცესი | 8 |
| 5 | საწვრთნო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესი | 8 |
| 6 | ოლიმპიური მოძრაობა | 5 |
| 7 | გამოყენებითი ტანვარჯიში | 5 |
| 8 | მძლეოსნობა და საერთო ფიზიკური მომზადება | 6 |
| 9 | გამოყენებითი ცურვა | 5 |
| 10 | ადამიანის ანატომიის საფუძვლები | 6 |
| 11 | ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები | 6 |
| 12 | პირველადი გადაუდებელი დახმარება | 2 |
| 13 | სპორტის ფსიქოლოგიის საფუძვლები | 6 |
| 14 | სპორტის სახეობები | 12 |
| | სულ | 97 |

## შეფასების წესი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოიყენება ორი სახის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპით.

განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული სისტემით და მოიცავს შეფასების ორ ტიპს:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

სწავლის შედეგების დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) შეფასების გზით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლება-სწავლის პროცესში ყურადღება ეთმობა საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, მათ შორის მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის უნარის გაძლიერებას. ამ მიზნით სწავლების პროცესში ფასდება პროფესიული სტუდენტის ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, მათ შორის მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა.

საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF HIGH PERFORMANCE OF GEORGIA

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

# მოდის ტექნოლოგია და დიზაინი

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: აქვს სრული ზოგადი განათლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები — საბაზო ზოგადი განათლება.

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში;
SECONDARY VOCATIONAL QUALIFICATION IN FASHION TECHNOLOGY AND DESIGN

## პროგრამის მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “მოდის ტექნოლოგია და დიზაინი” მიზანია შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.

## სწავლის შედეგები

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე “მოდის ტექნოლოგია და დიზაინი” კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო ადგილის ორგანიზება და გაეცნოს მოდელს;
2. შეემნას ესკიზი;
3. შეარჩიოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალები;
4. ტექნოლოგიურად დაამუშაოს სამკერვალო ნაწარმის დეტალები;
5. გამოიყენოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი დამუშავების მოწყობილობები;
6. ააგოს სამკერვალო ნაწარმის კონსტრუქციული ნახაზი;
7. გამოჭრას და შეკეროს სამკერვალო ნაწარმი;
8. გადააკეთოს ტანსაცმელი და აღადგინოს დაზიანებული უბნები;
9. უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება

საქართველოს მაღალი მიღწევების
საერთაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF
HIGH PERFORMANCE OF GEORGIA

# ინფორმაცია კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 90 კრედიტიანია. აქვს ზოგადი 2 მოდული ჯამური 7 კრედიტის ოდენობით. პროფესიული 11 მოდული (რომელშიც გათვალისწინებულია არჩევითი მოდულიც) ჯამური 83 კრედიტის ოდენობით.
მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 90 კრედიტი.

| N | ზოგადი მოდულები | კრედიტი |
|---|---|---|
| 1 | მეწარმეობა | 4 |
| 2 | უცხოური ენა | 3 |
| **N** | **პროფესიული მოდულები** | **კრედიტი** |
| 1 | დარგის გაცნობა | 1 |
| 2 | ტანსაცმლის ესკიზის შექმნა | 8 |
| 3 | კოსტიუმის ისტორიის საფუძვლები | 2 |
| 4 | სატანსაცმლე მასალების კონფექციონირება | 2 |
| 5 | ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ტექნოლოგია | 10 |
| 6 | ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება | 18 |
| 7 | ტანსაცმლის გამოჭრა და ტექნოლოგიური დამუშავება | 24 |
| 8 | ტანსაცმლის შეკეთება და გადაკეთება | 3 |
| 9 | პრაქტიკული პროექტი | 6 |
| 10 | საწარმოო პროექტი | 2 |
| 11 | ქართული ეროვნული სამოსის გამოჭრა და ტექნოლოგიური დამუშავება | 7 |
| | სულ | 90 |

# შეფასების წესი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოიყენება ორი სახის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპით.

განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემით და მოიცავს შეფასების ორ ტიპს:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია შესაბამის მოდულებში.

სწავლის შედეგების დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) შეფასების გზით.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას, მათ შორის: მშობლიურ ენაზე კომუნიკაციას, უცხო ენაზე კომუნიკაციას, მათემატიკურ კომპეტენციას, ციფრულ კომპეტენციას, დამოუკიდებლად სწავლის უნარს, პიროვნებათშორის, კულტურათაშორის, სოციალურ და მოქალაქეობრივ კომპეტენციებს, მეწარმეობასა და კულტურულ გამომხატველობას.

სწავლება-სწავლის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებას, რის ფარგლებში ფასდება პროფესიული სტუდენტის ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, მათ შორის მართლმეტყველებისა და მართლწერის წესების დაცვა, პროფესიული ლექსიკის სწორად გამოყენება, აზრის მკაფიო და თანამიმდევრული გადმოცემა.

საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF HIGH PERFORMANCE OF GEORGIA

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

# FRONT-END დეველოპმენტი

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „FRONT-END დეველოპმენტი“ სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: აქვს სრული ზოგადი განათლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები — საბაზო ზოგადი განათლება.

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია FRONT-END დეველოპმენტში;
SECONDARY VOCATIONAL QUALIFICATION IN FRONT-END DEVELOPMENT.

## პროგრამის მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “FRONT-END დეველოპმენტის” მიზანია შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.

## სწავლის შედეგები

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე “FRONT-END დეველოპმენტი” კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ვებ გვერდის მომხმარებლის ინტერფეისი;
2. შექმნას ინტერაქტიული ვებ გვერდი;
3. განახორციელოს ვებ გვერდის ოპტიმიზაცია;
4. განახორციელოს ვებ პროექტის ვერსიების კონტროლი;
5. უზრუნველყოს საკუთარი პროფესიული განვითარება.

## ინფორმაცია კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

FRONT-END დეველოპმენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 60 კრედიტიანია. აქვს ზოგადი 3 მოდული ჯამური 9 კრედიტის ოდენობით. პროფესიული 10 მოდული ჯამური 51 კრედიტის ოდენობით.

FRONT-END დეველოპმენტში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი.

# შეფასების წესი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოიყენება ორი სახის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპით.

განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული სისტემით და მოიცავს შეფასების ორ ტიპს:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია შესაბამის მოდულებში.

სწავლის შედეგების დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) შეფასების გზით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებულ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შემთხვევაში გამოიყენება აქტის განახლებული ვერსია, მიუხედავად პროგრამასა და მოდულებში არსებული ჩანაწერებისა. ასევე, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა სამართლებრივი აქტებიც, მათ შორის საერთაშორისო შეთანხმებები და რეგულაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლება-სწავლის პროცესში ყურადღება ეთმობა საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, მათ შორის მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის უნარის გაძლიერებას. ამ მიზნით სწავლების პროცესში ფასდება პროფესიული სტუდენტის ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, მათ შორის მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა, პროფესიული ლექსიკის სწორად გამოყენება და აზრის მკაფიო, თანამიმდევრული გადმოცემა.

საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF HIGH PERFORMANCE OF GEORGIA

| N | ზოგადი მოდულები | კრედიტი |
|---|---|---|
| 1 | უცხოური ენა | 3 |
| 2 | მეწარმეობა | 4 |
| 3 | პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები | 2 |
| N | პროფესიული მოდულები | კრედიტი |
| 1 | ვებ გვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | 7 |
| 2 | ვებ გვერდის სტილიზაცია Sass-scss პრე პროცესორის და Tailwind ფრეიმწორკის გამოყენებით | 4 |
| 3 | ვებ გვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შექმნა JavaScript-ის საშუალებით | 9 |
| 4 | დინამიური ვებ გვერდის შექმნა Typescript-ის საშუალებით | 6 |
| 5 | ვებ გვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შემუშავება React-ის საშუალებით | 8 |
| 6 | ვებგვერდის ოპტიმიზაცია | 3 |
| 7 | ვერსიების კონტროლი Git ტექნოლოგიის გამოყენებით | 3 |
| 8 | დარგობრივი ინგლისური ენა Front-end დეველოპმენტისთვის | 4 |
| 9 | პრაქტიკული პროექტი | 4 |
| 10 | ხელოვნური ინტელექტის გამოყენება | 3 |
| სულ | | 60 |

საქართველოს მაღალი მიღწევების
საერთაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF
HIGH PERFORMANCE OF GEORGIA

# საკონტაქტო ინფორმაცია:

ელფოსტა:
IAHPG@OUTLOOK.COM

## მისამართი:
აკაკი წერეთლის გამზირი N95ა

თბილისი
2026